საქართველოს მთავრობის

დადგენილება №147

2025 წლის 14 მაისი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – საყოფაცხოვრებო სავენტილაციო ერთეულის ენერგოეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 3 ოქტომბრის №329 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „ტექნიკური რეგლამენტის – საყოფაცხოვრებო სავენტილაციო ერთეულის ენერგოეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 3 ოქტომბრის №329 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/10/2024, 300160070.10.003.024724) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ „ტექნიკურ რეგლამენტში – საყოფაცხოვრებო სავენტილაციო ერთეულის ენერგოეტიკეტირების წესში“ დანართი II ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

დანართი II. ეტიკეტი

1. ცალმხრივი სავენტილაციო ერთეულის ეტიკეტი:



ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

I – მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი;

II – მიმწოდებლის მიერ მინიჭებული მოდელის იდენტიფიკატორი;

III – ენერგოეფექტურობა; ისრის თავი, რომელიც შეიცავს კონკრეტული საყოფაცხოვრებო სავენტილაციო ერთეულის ენერგოეფექტურობის კლასს, განთავსდება იმავე სიმაღლეზე, რაზეც შესაბამისი ენერგოეფექტურობის კლასის ისრის თავი; ენერგოეფექტურობა მითითებულია „საშუალო“ კლიმატისთვის;

IV – ხმის სიმძლავრის დონე (L_{WA}) დეციბელში (დბ), დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

V – ნაკადის მაქსიმალური სიჩქარე $მ^3$/სთ-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე და თან ახლავს ერთი ისარი, რომელიც წარმოადგენს ცალმხრივ სავენტილაციო ერთეულს.

2. ორმხრივი სავენტილაციო ერთეულის ეტიკეტი:



№329

ა) ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

I – მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი;

II – მიმწოდებლის მიერ მინიჭებული მოდელის იდენტიფიკატორი;

III – ენერგოეფექტურობა; ისრის თავი, რომელიც შეიცავს კონკრეტული საყოფაცხოვრებო სავენტილაციო ერთეულის ენერგოეფექტურობის კლასს, განთავსდება იმავე სიმაღლეზე, რაზეც შესაბამისი ენერგოეფექტურობის კლასის ისრის თავი; ენერგოეფექტურობა მითითებულია „საშუალო“ კლიმატისთვის;

IV – ხმის სიმძლავრის დონე (L_{WA}) დეციბელში (დბ), დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე;

V – ნაკადის მაქსიმალური სიჩქარე $მ^3$/სთ-ში, დამრგვალებული უახლოეს მთელ რიცხვამდე და თან ახლავს ორი ისარი საპირისპირო მიმართულებით, რომელიც წარმოადგენს ორმხრივ სავენტილაციო ერთეულს.

3. ეტიკეტის დიზაინი

ამ დანართის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ეტიკეტებს უნდა ჰქონდეს შემდეგი დიზაინი:



ამასთან:

ა) ეტიკეტი უნდა იყოს სულ არანაკლებ 75 მმ-ის სიგანის და 150 მმ სიმაღლის. როდესაც ეტიკეტი დაბეჭდილია უფრო დიდი ფორმატით, მისი შინაარსი მაინც უნდა დარჩეს ზემოთ მოცემული სპეციფიკაციების პროპორციული;

ბ) ფონი უნდა იყოს თეთრი;

გ) ფერები უნდა იყოს – ფირუზისფერი, მეწამული, ყვითელი და შავი (CMYK), შემდეგი ნიმუშით: 00-70-X-00: 0 % ფირუზისფერი, 70 % მეწამული, 100 % ყვითელი, 0 % შავი;

დ) ეტიკეტი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნას:

ეტიკეტის კიდეები: 3.5 pt – ფერი: ფირუზისფერი 100% – მრგვალი კუთხეები: 2.5 მმ.

ენერგიის შესახებ ეტიკეტი: ფერი: X-00-00-00.

პიქტოგრამა, როგორც სურათზეა ნაჩვენები; ენერგიის ეტიკეტი: სიგანე: 62 მმ, სიმაღლე: 12 მმ.

ქველოგოების კიდე: 1 pt – ფერი: ფირუზისფერი 100% – სიგრძე: 62 მმ.

A+ – G სკალა

- ისარი – სიმაღლე: 6 მმ, დაშორება: 1 მმ – ფერები:
- უმაღლესი კლასი: X-00-X-00,
- მეორე კლასი: 70-00-X-00,
- მესამე კლასი 30-00-X-00,
- მეოთხე კლასი: 00-00-X-00,
- მეხუთე კლასი: 00-30-X-00,
- მეექვსე კლასი: 00-70-X-00,
- მეშვიდე კლასი: 00-X-X-00,
- ბოლო კლასი: 00- X – X -00.

- ტექსტი: „Calibri“, მუქი, შრიფტის ზომა 13 pt, დიდი ლათინური ასოები, თეთრი.

კონკრეტული ენერგიის მოხმარების კლასი

- ისარი: სიგანე: 17 მმ, სიმაღლე: 9 მმ, 100 % შავი.
- ტექსტი: „Calibri“, მუქი, შრიფტის ზომა 18.5 pt, დიდი ლათინური ასოები, თეთრი; „+“ სიმბოლოები: „Calibri“, მუქი, შრიფტის ზომა 11 pt, თეთრი, ასოს თავში სიმბოლო უნდა იყოს განთავსებული ერთ ხაზზე.

ხმის სიმძლავრის დონე (L_{WA}) დეციბელში (დბ):

- კიდე: 1.5 pt – ფერი: ფირუზისფერი 100% – მრგვალი კუთხეები: 2.5 მმ.
- მნიშვნელობა: „Calibri“ მუქი, შრიფტის ზომა 16 pt, 100% შავი;
- დბ: „BPG Mrgvlovani Caps 2010“ ჩვეულებრივი, შრიფტის ზომა 10 pt, 100% შავი.

ნაკადის მაქსიმალური სიჩქარე $მ^3$/სთ-ში:

- კიდე: 1.5 pt – ფერი: ფირუზისფერი 100% – მრგვალი კუთხეები: 2.5 მმ.
- მნიშვნელობა: „Calibri“, მუქი, შრიფტის ზომა 16 pt, 100 % შავი;
- $მ^3$/სთ: „BPG Mrgvlovani Caps 2010“ მუქი, შრიფტის ზომა 16 pt, 100% შავი;
- ერთი ან ორი ისარი
- თითოეულის სიგანე: 10 მმ, თითოეულის სიმაღლე: 10 მმ.
- ფერი: ფირუზისფერი 100%.

ენერგია:

ტექსტი: „BPG Mrgvlovani Caps 2010“ ჩვეულებრივი, შრიფტის ზომა 6 pt, დიდი ლათინური ასოები, შავი.

რეგლამენტის ნომერი:

- ტექსტი: „Verdana“ მუქი , შრიფტის ზომა 8 pt.

მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი

მიმწოდებლის მოდელის იდენტიფიკატორი

მიმწოდებლის სახელწოდება ან სავაჭრო ნიშანი და მოდელის იდენტიფიკატორი უნდა განთავსდეს 62 X 10 მმ ფორმატში.